

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №29

ქ. თბილისი

01.12.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ფურცხვანიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

- 1) მანანა სანაძე - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი;
- 2) ნატო ჩიხლაძე - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
- 3) დავით სივსივაძე - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელი;

- 4) მამუკა თავხელიძე - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი;
- 5) მოგელი შენგელია - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
- 6) დავით მჭედლიშვილი - სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ახალი ტალღის“ დირექტორი;
- 7) ნათელა პაპუნაშვილი - სსიპ - პროფესიული კოლეჯი „აისის“ დირექტორი;
- 8) გოჩა ურუშაძე - შპს - „სკოლა ოპიზას“ დირექტორის მოადგილე;
- 9) მაია თევზაშვილი - შპს - „სკოლა ოპიზას“ დირექტორის მოადგილე;
- 10) გიორგი გეთიაშვილი - შპს - „სკოლა ოპიზას“ ხარისხის მმართველის მენეჯერი;
- 11) მზია ნარიშკინიძე - შპს - „პედაგოგის“ დირექტორი;
- 12) რუსუდან ბოლქვაძე - შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესს-ის დირექტორი;
- 13) დარეჯან ლორთქიფანიძე - შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესს-ის ხარისხის მართვის მენეჯერი;
- 14) ნიკო ჯანიბეგაშვილი - შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქორალის“ დირექტორი;
- 15) გიული კობლიშვილი - ა(ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;
- 16) მარგარიტა კუპრაშვილი - შპს - „საუნჯეს“ დირექტორი;
- 17) თამარ ჯაფარიძე - შპს - „ბრიტთიმ ქონექშენის“ საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამფუძნებელი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ნობა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ელენე გვენცაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ლიანა ჩარკვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნინო ჟვანია - ავტორიზაციის ექსპერტი;
 დავით ჭიჭიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნანა ჯანაშია - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნანა ბარნაბიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.
 იანინა გიგინიძე - ავტორიზაციის ექსპერტი.
 რევაზ ნინუა - ავტორიზაციის ექსპერტი.
 მაკა ტუკვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:19 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - „სკოლა ოპიზას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - „პედაგოგის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესს-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქორალის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - „საუნჯეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - „ბრიტთი ქონექშენის“ საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგში შეეტანათ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასცენო ხელოვნების ოსტატის მე-4 და მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის საკითხი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასცენო ხელოვნების ოსტატის მე-4 და მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - „სკოლა ოპიზას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - „პედაგოგის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესს-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქორალის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - „საუნჯეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - „ბრიტიშ ქონექშენის“ საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასცენო ხელოვნების ოსტატის მე-4 და მე-5 საფეხურის პროგრამების განხილვა

საბჭოს წინაშე საკითხი წარადგინა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის სხდომაზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. სასცენო ხელოვნების ოსტატის მე-4 და მე-5 საფეხურის პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მეოთხე დანართით გათვალისწინებულ კვალიფიკაციებს. აღნიშნული დოკუმენტის მე-5 დანართის შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მისცა თანხმობა სასცენო ხელოვნების ოსტატის მე-4 და მე-5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე. აღნიშნული პროგრამები ანიჭებდნენ სტატისტიკის მე-4 და მე-5 საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას.

დარგის სპეციალისტების თემატურ ჯგუფში გამართული განხილვებისა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში მოწერილი წერილის შედეგად დადგინდა, რომ უმჯობესია სასცენო ხელოვნების ოსტატის მე-4 და მე-5 პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ მიაწოდოს სასცენო ხელოვნების ოსტატის მე-4 და მე-5 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. საგულისხმოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ცვლილება ეხება მხოლოდ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდებას და არა პროფესიული პროგრამის შინაარსს. რაც საბოლოოდ დაემატება „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“.

საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა წარმოდგენილ მოსაზრებას.

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამის განხილვა

საბჭოს წინაშე საკითხი წარადგინა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 ივლისის სხდომაზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მა მისანიჭებელი კვალიფიკაციით - მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსის მე-4 საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაცია. მოცემული კვალიფიკაცია არ

შეესებამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მეოთხე დანართით გათვალისწინებულ კვალიფიკაციებს. აღნიშნული დებულების მე-5 დანართის შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისცა თანხმობა მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე.

დარგის სპეციალისტების თემატურ ჯგუფში გამართული განხილვების შედეგად დადგინდა, რომ მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკე განხორციელება არ არის მიზანშეწონილი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ასევე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმაც. შესაბამისად აღნიშნული აღარ დაემატება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა წარმოდგენილ მოსაზრებას .

3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს - საქართველოს უნივერსიტეტი ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას №77ა-ში საკუთრებაში ფლობს სამ კორპუსს.

I კორპუსი - 2858 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 01.10.13.023.052), აღნიშნული ფართიდან უნივერსიტეტს შპს საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლაზე იჯარით გაცემული აქვს 1216,31 კვ.მ. შესაბამისად, ამ კორპუსში უნივერსიტეტის სასარგებლო ფართი შეადგენს 1641,69კვ.მ.

II კორპუსი - 866 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 01.10.13.023.047).

III კორპუსი - 4091,72 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 01.10.13.023.046).

შესაბამისად, ქალაქ თბილისში, მ. კოსტავას №77ა-ში შპს საქართველოს უნივერსიტეტის სარგებლობაშია 6899,41 კვ.მ.

აღნიშნულ ფართზე არსებული სასწავლო და სამეცნიერო პროცესისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, საჯარო ლექციებისა და საკონფერენციო დარბაზები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ლაბორატორიები, რაც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შესაბამემა საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს და იძლევა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. აღნიშნული ფართი აღჭურვილია აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი, შესაბამისი ინვენტარით, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის გამართული სისტემით, ბუნებრივი განათების შესაძლებლობით.

საჯარო რეესტრის მონაცემებით დასტურდება, რომ შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საკუთრებაშია მ. კოსტავას ქუჩა №77-ში მდებარე 5059 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.10.13.023.079). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობის საერთო ფართი წარმოდგენილი პროექტის მიხედვით არის 16202,08 კვ.მ. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ აღნიშნული შენობის ნაწილი, კერძოდ 6758,08კვ.მ. გარემონტებულია და აღჭურვილია სასწავლო მიზნებისათვის, ხოლო შენობის მეორე ნაწილში - 9444 კვ.მ-ზე მიმდინარეობს შიდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „ერ-თი-ჯი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება და წერილი, რის საფუძველზეც კომპანია ადასტურებს, რომ აღნიშნული კორპუსის რეკონსტრუქცია დასრულდება 2012 წლის 5 ივლისს.

დღეისათვის უნივერსიტეტი ახორციელებს სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამებს.

დაწესებულების აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამემა დაკავებულ თანამდებობებს. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი არჩეულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 89, აქედან:

სრული პროფესორი - 29;

ასოცირებული პროფესორი - 42;

ასისტენტ-პროფესორი - 18.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენი სტუდენტის მომსახურებას შეძლებდა უნივერსიტეტი ამ ეტაპზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია საკმარისი ფართი, ამასთან, ახალი შენობა 5 ივლისისათვის უკვე შევა ექსპლოატაციაში. მზად იყო 6000 სტუდენტის მომსახურება გაწიოს.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების თანახმად, ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდისას მხედველობაში მიიღოს დაწესებულების ის ფართი, რომელშიც ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს – საქართველოს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 6000 სტუდენტის მომსახურება. რაც შეეხება, ადამიანურ რესურს დაწესებულებას უნდა დაედასტურებინა, რომ გამოცხადებულია კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

დაწესებულებამ დაადასტურა ზემოაღნიშნული და წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც შპს – საქართველოს უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს 15 აკადემიურ პერსონალზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია დაერთო სხდომის ოქმს.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტის მიღებას. ექსპერტი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 6000 სტუდენტთა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე, დაწესებულება აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს და შესაძლებელია მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა გაეზარდოს 6000 ერთეულით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 6000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 6000-ით.

4. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ქალაქ თბილისში, ჯ. ბაგრატიონის №6-ში საკუთრებაში ფლობს 1391,56 კვ. მ., ხოლო იგივე მისამართზე იჯარის ხელშეკრულებით ფლობს 2105,84 კვ.მ. სულ - 3497,4 კვ. მ. (საკადასტრო კოდი 01.10.14.029.001). აღნიშნულ ფართზე არსებული სასწავლო და სამეცნიერო პროცესისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, საჯარო ლექციებისა და საკონფერენციო დარბაზები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ლაბორატორიები, რაც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს და იძლევა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. აღნიშნული ფართი აღჭურვილია აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი, შესაბამისი ინვენტარით, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის გამართული სისტემით, ბუნებრივი განათების შესაძლებლობით.

საჯარო რეესტრის მონაცემებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტის საკუთრებაშია დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ-ზე არსებული 7300,00 კვ. მ. მიწის ნაკვეთი მშენებარე შენობა-ნაგებობით (საკადასტრო კოდი 01.72.14.013.331). ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ორსართულიანი შენობის კარკასი აშენებულია, ფასადი ნაწილობრივ მოპირკეთებულია, საერთო ფართი გადატიხრულია აუდიტორიებისათვის. შენობა საჭიროებს შიდა კეთილმოწყობის სამუშაოებს. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ბრძანება N01-28/002 (10.06.2011), სამშენებლო-სარემონტო სამუშაოს განმახორციელებელ პირთა შესახებ და ბრძანება N01-28/003 (20.10.2011) უნივერსიტეტის სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ. მათთან გაფორმებულია გენერალური ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მხარეთა ვალდებულებები.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დგინდება, რომ შენობის ორივე სართულის ფართობი 3607,01 კვ.მ. აქვე აღვნიშნავთ, რომ შენობას აქვს სარდაფი 1337 კვ. მ..

დღეისათვის უნივერსიტეტი ახორციელებს 11 საბაკალავრო (მათ შორის მენეჯმენტის და ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა მიღევად რეჟიმში), 4 სამაგისტრო და 5 სადოქტორო და 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (III და IV საფეხურს).

შპს – გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი შეადგენს 19 655 ერთეულს, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. წიგნადი ფონდის საკუთრებაში ფლობა დასტურდება ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებებით და სასაქონლო ზედნადებებით.

უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვას. სტუდენტების და აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის 202 კომპიუტერი. კომპიუტერების ფლობა დასტურდება შესყიდვის დოკუმენტაციით.

დაწესებულების აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი არჩეულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შპს-გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 88, აქედან:

სრული პროფესორი - 35;

ასოცირებული პროფესორი - 45;

ასისტენტ-პროფესორი - 8.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის შესახებ.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, დასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, რა რაოდენობის სტუდენტების მიღებას შეძლებდა. დაწესებულების წარმომადგენლებსი განმარტებით, დაწესებულებას შეეძლო 2000 სტუდენტთა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე, დაწესებულება აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს და შესაძლებელია მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა გაეზარდოს 2000 ერთეულით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 2000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.

5. სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 600-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 600 პროფესიული სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ახალ ტალღას“ მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

6.სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 1120-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 1120 პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „აისის“ მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1120-ით.

7.შპს - „სკოლა ოპიზას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 საექსპერტო ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულებას 2011 წლის 1 აგვისტოს შპს „ინსტა-ჯორჯიასთან“ გაფორმებული აქვს მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, დაწესებულებას შეძენილი აქვს ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა და გადახდილი აქვს მისი სრული (100%) საფასური უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შპს „ინსტა-ჯორჯიას“ ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობა არ მიუწოდებია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი არ არის გაფორმებული მხარეებს შორის.

1.2 დაწესებულების ერთ მისამართზე დამონტაჟებულია მხოლოდ შიდა პერიმეტრის მაკონტროლებელი ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, თითოეულ სართულზე განთავსებულია 2 ვიდეოკამერა, სულ 6 ვიდეოკამერა, ხოლო – გარე პერიმეტრის მაკონტროლებელი უსაფრთხოების კამერებისა და შესაბამისი ტექნიკური აპარატურის შეძენისა და სამონტაჟო სამუშაოების შესახებ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება N13/10/11-1 შპს „ჯესკო ჯგუფთან“ და გადახდილი აქვს მისი სრული (100%) საფასური უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

დაწესებულების მეორე მისამართზე არსებულ შენობაში, საექსპერტო ვიზიტისას არ იყო დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები, თუმცა, დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „კაელი-07“ გაფორმებული ხელშეკრულება ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიწოდებისა და მონტაჟის შესახებ და აგრეთვე მისი სრული (100%) საფასურის უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდის დამადასტურებელი საბანკო გადარიცხვის ქვითარი.

დაწესებულების დირექტორის მოადგილის განმარტებით, აღნიშნული კომპანია (შპს „კაელი-07“) უზრუნველყოფს შიდა პერიმეტრის მაკონტროლებელი უსაფრთხოების კამერების მონტაჟსაც, ხოლო შპს „ჯესკო ჯგუფი“ გარე პერიმეტრის მაკონტროლებელი კამერების მოწოდებასა და მონტაჟს ორივე მისამართზე არსებული ფართისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორივე საკითხი მოგვარებულია, სკოლას უკვე გააჩნია ლაბორატორია და დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია დაერთო სხდომის ოქმს.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, საბჭოს მოახსენა, რომ პირადად იცნობს აღნიშნულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და იგი მართლაც იმსახურებს მხარდაჭერას.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 600 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 600 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - „სკოლა ოპიზას“ შესაბამისობის საკითხზე და ერთხმად მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „სკოლა ოპიზას“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „სკოლა ოპიზას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

8. შპს - „პედაგოგის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლას 11 -ე კლასში მოსწავლეებისთვის არჩევით საგნად შეთავაზებული აქვს ერთი საგანი, სახელმწიფო და მოქალაქეობა, რითაც ირღვევა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მე-11 კლასში უნდა ისწავლებოდეს ორი არჩევითი საგანი.

1.2 სასკოლოს სასწავლო გეგმაში არ იყო მოცემული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო მოცემული ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა.

1.4 სკოლას არ ჰქონდა დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა.

1.5 სკოლას არ გააჩნდა სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, თუმცა გრიფდინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა დაწესებულებაში არსებობს.

1.6 სასწავლო გეგმაში არ იყო მოცემული შემაჯამებელი გაკვეთილების გაცდენისა შემაჯამებელი შეფასების პირობები და ვადები.

1.7 სკოლის სასწავლო გეგმაში არ იყო მოცემული საშემოდგომო გამოცდების ჩატარების პირობები და ვადები.

1.8 დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროგრამა გაწერილი არ იყო 2011-2016 წლების ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით.

1.9 წარმოდგენილი არ იქნა საბაზო და საშუალო საფეხურების სასწავლო პროგრამები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - „პედაგოგი“ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე განთავსებულია ქ. რუსთავში, რუსთაველის ქუჩის №20-ში მდებარე შენობის მე-2 და მე-3 სართულების ნაწილში (352,5 კვ.მ.). საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, დაქირავლებლად რეგისტრირებულია არა შპს - „პედაგოგი“, არამედ დაწესებულების ერთ-ერთი დამფუძნებელი და სკოლის დირექტორი მზია ნარიმანიძე.

2.2 დაწესებულებაში განთავსებულია 10 ინდივიდუალური, 28 - ორადგილიანი და 10 - სამადგილიანი მერხი.

2.3 დაწესებულებას არა აქვს სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. შენობის ეზოში მოწყობილია ფრენბურთის მოედანი, თუმცა იგი არანაირ სტანდარტებში არ ჯდება. შპს - „პედაგოგის“ დირექციას გაგზავნილი აქვს წერილობითი მოთხოვნა თვითმმართველ ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ქ. რუსთავში, ბათუმის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის იჯარის ფორმით, კვირაში 2 დღით დათმობის შესახებ.

2.4 დაწესებულებას გააჩნია ქიმია -ბიოლოგიისა და ფიზიკის კომბინირებული ლაბორატორიის ხელსაწყოები. ლაბორატორიის ხელსაწყოები სასწავლო პროცესში სრულყოფილად გამოსაყენებლად არასრულია. წარმოდგენილი ლაბორატორიული ხელსაწყოების შესყიდვის აქტებს არა ჰქონდათ სარეგისტრაციო ნომრები. ზოგადად, სკოლაში არსებული ლაბორატორია არ შეესაბამება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე“.

2.5 სკოლას ბიბლიოთეკა არ გააჩნია. დაწესებულების წიგნადი ფონდი (271 ერთეული) განთავსებულია დირექტორის კაბინეტში. წიგნები არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. ვერ იქნა წარმოდგენილი ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი, კატალოგი და მკითხველთა ბარათები. დაწესებულებას არ ჰქონდა: მე-3, მე-4, მე-7 და

მე-12 კლასის რუსული ენისა და ლიტერატურის; მე-2 და მე-3 კლასის მუსიკის; მე-10 კლასის ქიმიისა და მე-9 კლასის ფიზიკის გრიფირებული სახელმძღვანელოები.

2.6 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის დაწესებულებას გააჩნია მოძრავი ხის პანდუსი, თუმცა სათანადო აღჭურვილობის სველი წერტილი ან რესურს ოთახი სკოლაში არ იყო.

2.7 დაწესებულების საინფორმაციო ტექნოლოგიებ ის კაბინეტში განთავსებულია 4 კომპიუტერი. დირექტორის კაბინეტში დგას ერთი ნოუთბუქი. ინტერნეტში ჩართულია მხოლოდ 2 კომპიუტერი. აღნიშნული კომპიუტერების ფლობა საბუღალტრო დოკუმენტაციით სკოლის უდასტურდებოდა, თუმცა არსებობს მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმადაც, შპს - კერძო საშუალო სკოლა "მერიდიანის" დირექტორი გადაცემს ზემოაღნიშნულს ისტის პედაგოგს გიორგი ქურცაძეს. სკოლაში არის 85 მოსწავლე, ამდენად, ერთ კომპიუტერზე მოდის $85/5=17$ მოსწავლე, მაგრამ ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილ ერთ კომპიუტერზე $85/2=42,5$ მოსწავლე.

2.8 დაწესებულებაში არ იყო სამედიცინო კაბინეტი ან სათანადო სამედიცინო ინვენტარი.

2.9 დაწესებულებასი დამონტაჟებულია ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დადგინდა თუ რამდენად შეესაბამება დაწესებულების ტერიტორიაზე დამონტაჟებული ვიდეო კამერები „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2.10 სკოლის ბრძანებები და ბრძანებების რეგისტრაციის წიგნი აკინძულია ფაილებში ჩადებული ფურცლებით.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 სკოლის პედაგოგებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან შელშეკრულებები დადებულია შპს - „პედაგოგთან“ არსებული ქ. რუსთავის კერძო საშუალო სკოლა „მერიდიანის სახელით“, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლა „მერიდიანი“ არ არსებობს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - „პედაგოგის“ დირექტორმა მზია ნარიმანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას სპორტულ მოედანთან დაკავშირებით თვითმმართველ ქალაქ რუსთავის საკრებულოსთან დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს ასევე წარუდგინა ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. 2011 წლის 21 ნოემბრის საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ შპს - „პედაგოგი“ ქალაქ რუსთავში ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 195.5 კვ.მ. შესაბამისად, სხდომის

თავმჯდომარის მოსაზრებით, ფართოთან და სპორტულ მოედანთან დაკავშირებული შენიშვნები ავტორიზაციის საბჭოს არ უნდა გაეთვალისწინებინა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი გაიანე სიმონია დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას სამედიცინო კაბინეტი და სათანადო ინვენტარი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ამ ეტაპზე მოწყობილი ჰქონდა სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი დავით კახნიაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურების სასწავლო პროგრამები. ავტორიზაციის ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამები ვიზიტის დროს არ ჰქონდა. მზია ნარიმანიძის განმარტებით, აღნიშნული პროგრამები დაწესებულებას უკვე შემუშავებული ჰქონდა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი დავით კახნიაშვილი დაინტერესდა რამდენი ინდივიდუალური მერხი ჰქონდა სკოლას საკუთრებაში. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას ამ ეტაპზე ჰქონდა მხოლოდ 10 ინდივიდუალური მერხი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ შპს - „პედაგოგს“ დადებული ჰქონდა ხელშეკრულება დამატებითი ინდივიდუალური მერხების შეძენის თაობაზე. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, შეეძლო თუ არა საბჭოსთვის წარედგინა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლის დირექტორმა დამატებითი ინდივიდუალური მერხების შეძენის თაობაზე რაიმე სახის დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს ვერ წარუდგინა.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ბიბლიოთეკისთვის ცალკე ოთახი არ ჰქონდა გამოყოფილი. სხდომის თავმჯდომარე იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა შპს - „პედაგოგს“ გრიფირებული სახელმძღვანელოები. ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ სკოლას წიგნები ჰქონდა, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით, კერძოდ, დაწესებულებამ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების კატალოგი, მკითხველთა ბარათები და საინვენტარიზაციო წიგნი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რატომ არ იყო ბიბლიოთეკაში მე-3, მე-4, მე-7 და მე-12 კლასის რუსული ენისა და ლიტერატურის; მე-2 და მე-3 კლასის მუსიკის; მე-10 კლასის ქიმიისა და მე-9 კლასის ფიზიკის გრიფირებული სახელმძღვანელოები. სკოლის დირექტორმა მზია ნარიმანიძემ აღნიშნა, რომ მოცემული სახელმძღვანელოები მოსწავლეებს ჰქონდათ გატანილი. ავტორიზაციის ექსპერტმა ნანა ჯანაშიამ განმარტა, რომ ექსპერტების მიერ წიგნების ბიბლიოთეკაში არსებობის გადამოწმება მოხდა გრიფირებული სახელმძღვანელოების ერთიანი ნუსხის მიხედვით. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არცერთ დოკუმენტში არ ფიქსირდებოდა ის ფაქტი, რომ აღნიშნული წიგნები მოსწავლეებს ჰქონდათ გატანილი. შესაბამისად, შპს - „პედაგოგის“ მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ მე-3, მე-4, მე-7 და მე-12 კლასის რუსული ენისა და ლიტერატურის; მე-2 და მე-3 კლასის მუსიკის; მე-10 კლასის ქიმიისა და

მე-9 კლასის ფიზიკის გრიფირებული სახელმძღვანელოები მოსწავლეებს ჰქონდათ ბიბლიოთეკიდან გატანილი.

ავტორიზაციის სხდომის თავმჯდომარე იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა, რატომ ჰქონდა შპს - „პედაგოგის“ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შპს - „პედაგოგთან“ არსებული ქ. რუსთავის კერძო საშუალო სკოლა „მერიდიანის“ სახელით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია გაიცა კერძო საშუალო სკოლა „მერიდიანზე“. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ამჟამად ყველა იურიდიული დოკუმენტი ფორმდებოდა შპს - „პედაგოგის“ სახელით და შრომით ხელშეკრულებებში ჩარჩენილი იყო დაწესებულების ძველი სახელწოდება. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დავით ჭეიშვილს, იყო თუ არა შპს - „პედაგოგის“ მიერ მასწავლებლებთან და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები ხარვეზიანი. ავტორიზაციის ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა განმარტა, რომ მოცემული ხელშეკრულებები არასწორად იყო გაფორმებული, რადგან დამსაქმებლად ფიგურირებდა არა შპს - „პედაგოგი“ არამედ შპს - „პედაგოგთან“ არსებული ქ. რუსთავის კერძო საშუალო სკოლა „მერიდიანი“.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 20:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 20:55 საათზე.

ავტორიზაციის სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზები იყო არსებითი ხასიათის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „პედაგოგის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მართალია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს - „პედაგოგის“ მიმართ იყო უარყოფითი, თუმცა საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების ინტერესები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს - „პედაგოგისთვის“ ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევა 2011 წლის 24 დეკემბრიდან, როდესაც დამთავრდება მიმდინარე სასწავლო სემესტრი.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე -14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „პედაგოგს“ უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე.

9.შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესს-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 597 მოსწავლის მიღებას.

თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 597 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესს-ის შესაბამისობის საკითხზე და ერთხმად მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესს-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 597-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია - ჯესს-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 597-ით.

10. შპს - „ქორალის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 400-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 400 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ქორალის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ქორალს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

11. ა (ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების მიერ შემუშავებულ საათობრივ ბადეში არ არის გაწერილი საგზაო უსაფრთხოების საათები.

1.2 დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს 2 ტიპის კითხვარის არსებობას: მშობლისთვის და მოსწავლისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ როგორ ხდება მონაცემების ანალიზის საფუძველზე სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესება, ამის შესახებ სკოლამ დოკუმენტი ვერ წარმოადგინა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე სკოლებისთვის საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების სწავლება გარკვეულ სირთულეებთან იყო

დაკავშირებული. კერძოდ, ჯერ-ჯერობით არ იყო საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური პედაგოგი, რომელიც შეძლებდა აღნიშნული საგნის სწავლებას. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახიაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლიათ საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების სწავლება განახორციელოს მეორე სემესტრიდან, ვინაიდან ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული საგნის მასწავლებლების გადამზადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ა(ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ერთი კომპიუტერის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა აღნიშნული კომპიუტერის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, დაწესებულებას საკუთრებაში აქვს 16 კომპიუტერი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 320-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 250 მოსწავლესთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივერიის ღვთისმშობლის ხატის სკოლა-გიმნაზიას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

12. შპს - „საუნჯის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლის სპორტულ დარბაზს არა აქვს გასახდელი.

1.2 სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - "ნამთან", რომელიც იღებს ვალდებულებას ნოემბრის ბოლომდე უზრუნველყოს ინდივიდუალური გათბობის სისტემის მოწყობითი სამუშაოები.

1.3 ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარეობდა საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული დამუშავება.

1.4 სკოლის ვებგვერდი შექმნის პროცესში იყო, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე ის უკვე ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

2.1 სკოლის 2 პედაგოგს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია. კერძოდ, მათემატიკის მასწავლებელს მზია თედორაშეს აქვს ლითონების ფიზიკის სპეციალისტისა და დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია, ხოლო რუსულის მასწავლებელ ლოლიტა ბერელიძეს - დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია.

2.2 სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის სპეციალური დოკუმენტი არ გააჩნია, თუმცა კათედრების სამუშაო გეგმები ითვალისწინებს ურთიერთდასწრებას, გაკვეთილების მონიტორინგს, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ მატერიალურ რესურსთან მიმართებით დაფიქსირებულ 1.4 შენიშვნა მოხსნა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლას სპორტულ სახეობად არჩეული აქვს ხალხური ცეკვები და საკლასო ოთახში ახერხებდნენ მოსწავლეები გამოცვლას. მათი განმარტებით, უკვე გამოყოფილია ახალი ოთახი აღნიშნულისათვის.

გათბობის სისტემასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ უკვე დასრულდა დამონტაჟება, ხოლო სკოლას საბიბლიოთეკო ფონდი აქვს, უბრალოდ ელექტრონული დამუშავება მიმდინარეობდა.

პედაგოგთა შესაბამის კვალიფიკაციაზე, სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, რუსული ენის მასწავლებელს ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება ჰქონდა და ამასთანავე, პედაგოგიური განათლება რუსულ ენაზე ჰქონდა მიღებული და შესაბამისად, მიიჩნის, რომ შეეძლო რუსული ენის სწავლება.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული მიდგომა არასწორია და სკოლამ შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლები უნდა მიიღოს და ჩაეკითხა, სკოლაში ეს ერთადერთი მასწავლებელი იყო თუ არა რუსულ ენაში.

სკოლის დირექტორის განცხადებით, მათ რუსული ენა არჩევით, ე.წ. მესამე ენად ჰქონდათ არჩეული და ეს იყო ერთადერთი რუსული ენის მასწავლებელი სკოლაში.

კითხვაზე, თუ როგორ უზრუნველყოფდა სკოლა უსაფრთხოების უზრუნველყოფას, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ემსახურებოდა დაცვის სამსახური, აგრეთვე, სათანადო კამერებიც გააჩნდათ. მათი განმარტებით, სკოლა გეგმავს მანდატურის სამსახურთან თანამშრომლობას.

ცენტრის წარმომადგენლის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, უმთავრესია, რომ არ იქნას უსაფრთხო სკოლის კონცეფცია დარღვეული. მიჩნეულია, რომ მანდატურის სამსახური ფლობს ყველა იმ უნარს, რომელიც მოზარდებთან ურთიერთობასა და ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევას სჭირდება.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა მცირერიცხოვანია. შესაბამისად, თუ მანდატურის სამსახურიდან შესაძლებელი იქნება ერთი მანდატურის აყვანა, ისინი დაუყოვნებლივ გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, იგი ვერ დაუჭერს მხარს ავტორიზაციის მინიჭებაზე.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 250-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინდივიდუალური მერხების რაოდენობის გათვალისწინებით დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 230 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „საუნჯის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს-„საუნჯეს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. შპს-„საუნჯეს“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

12. შპს - ბრიტიშ ქონექშენის საერთაშორისო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს 400 მოსწავლის მიღებას.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ექსპერტთა დასკვნის მიხედვით აქვს 221 მერხი და 15 კომპიუტერი. აქვე, თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლე ყავდა სკოლას ამ დროისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლაში ამ დროისათვის ირიცხებოდა 155 მოსწავლე, ხოლო მერხების რაოდენობას რაც შეეხება, წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში 221 მერხის გარდა არსებობდა ასევე მრგვალი მაგიდა, რომელიც გათვლილია 20 მოსწავლეზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში მართლაც დაფიქსირებულია მრგვალი მაგიდა, თუმცა არ იკვეთება, გამოიყენება თუ არა იგი ცალკე კლასისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მრგვალი მაგიდა გამოიყენება ცალკე კლასისათვის.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, სარგებლობდა თუ არა სკოლა მანდატურების სამსახურის მომსახურებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას გააჩნდა მაღალი დონის დაცვა და შესაბამისად, არ თვლიდა მიზანშეწონილად მანდატურის აყვანას.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ გაუგებარია რა კრიტერიუმით აფასებს სკოლა მის დაცვის სამსახურს, რადგან ყველა სხვა სკოლას, რომელიც სარგებლობს მანდატურის სამსახურით, ასევე ძალიან კარგი დაცვა ყავს.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განმარტა, რომ მანდატურის სამსახური არის უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, ამასთან, მანდატურის უნარ-ჩვევები მთლიანად ორიენტირებული და მორგებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკაზე და მისი ჩანაცვლება შეუძლებელია დაცვის სამსახურით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, რთული იქნებოდა ისეთი მანდატურის შერჩევა, რომელიც დააკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნებს. მაგალითისათვის, ინგლისურის მაღალ დონეზე ცოდნა, ვინაიდან, მოსწავლეთა უმრავლესობა არაქართულენოვანია.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ზემოაღნიშნული, მანდატურის სამსახურსა და დაწესებულებას შორის, მოლაპარაკების საგანია და შესაძლებელია, ორივე მხარისათვის მისაღებ პირობებზე შეთანხმება.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ცენტრის პოზიციას და დაადასტურა, რომ იზრუნებს უახლოეს მომავალში სკოლაში მანდატურის სამსახურის დანერგვისათვის.

თავჯდომარემ მიმართა მომხსენებელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 241 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ბრიტიშ ქონექშენის შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბრიტიშ ქონექშენის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 241-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბრიტიშ ქონექშენს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 241-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შედეგად სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:10 საათზე.

იოსებ სალუქვაძე
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი

